ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ32. 32231454**

თარიღი:**25/05/2023**

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასა და ი/მ თეიმურაზ ქვარიანი-ს შორის დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის ნაწილის „ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე” პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა” პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 54–ე მუხლის, 2022 წლის 31 მაისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #110 ხელშეკრულების მე-14 მუხლისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 22 მაისის #04-32223142148 მოხსენებითი ბარათის **საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შეწყვეტილ იქნეს ცალმხრივად, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასა და ი/მ თეიმურაზ ქვარიანი - ს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული 2022 წლის 28 დეკემბრის #301 ხელშეკრულება.

2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის აღსასრულებლად საჭირო სათანადო სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წესის შესაბამისად.

3.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).

4.კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

3000, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73, ტელ: (0357) 22 33 21, (0357) 22 43 54
N73 RUSTAVELI STR. MARNEULI, E-MAIL: MUNICIPALITETI@MARNEULI.GOV.GE